

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის –
ლიდერთა სკოლის**

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

(19.02.2018, №52/2018)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიდერთა სკოლა (შემდგომში - „სკოლა“) წარმოადგენს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს. (19.02.2018, №52/2018)
2. სკოლის სახელწოდება ინგლისურ ენაზე არის - Tbilisi State University School for Leadership.
3. სკოლა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე.
4. სკოლას აქვს ტიტულიანი ბლანკი უნივერსიტეტის ლოგოთი, ბეჭედი, ასევე საბანკო ქვეანგარიში.

მუხლი 2. სკოლის მიზნები, ამოცანები და საქმიანობა

1. სკოლის მიზნებია:
 - ა) თანამედროვე ბიზნესისა და გლობალური ეკონომიკის გარემოში ბიზნეს ორგანიზაციისა თუ მთლიანად საზოგადოების კონკურენტუნარიანი უპირატესობის უზრუნველსაყოფად სტრატეგიული ორგანიზებულობის მქონე კადრებისა და მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება-განვითარება;
 - ბ) ეფექტური სისტემის შექმნა საბაზისო სასწავლო უნარ-ჩვევებში კომპეტენტურობისა, მაღალი მიღწევებისათვის სტუდენტების მომზადების უზრუნველსაყოფად;
 - გ) სტუდენტთა ხელშეწყობა სწორი კარიერული და პიროვნული ორიენტირის არჩევა- განსაზღვრაში, პიროვნული ეფექტიანობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება - დახვეწაში;
 - დ) საქართველოში ისეთი საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომელიც ორიენტირებული იქნება განუწყვეტელ სწავლაზე, ცოდნის შეძენა - გაფართოებაზე, აქტიურ, ჯანსაღ მოქალაქეობაზე.
2. სკოლის ამოცანებია:

- ა) თავისი მიზნების განხორციელებისათვის კორპორაციული და ორგანიზებული სპონსორების მოზიდვა, მათთან ერთად შესაბამისი ღონისძიებების გამართვა;
- ბ) საქართველოში სტუმრად მყოფი გამოჩენილი ადამიანების მოწვევა, მათი ლექციების ჩატარების უზრუნველყოფა, უნივერსიტეტთან დაკავშირება, მათთან თანამშრომლობის განხორციელების ორგანიზება;
- გ) დასახული მიზნების მიღწევისათვის უზრუნველყოს სკოლის მსმენელთათვის გადაწყვეტილების მიღების ხელოვნების, ანალიტიკური აზროვნების, კონფლიქტის განმუხტვის, გუნდურ გარემოში ოპერირების, პრობლემების მკაფიოდ ჩამოყალიბება-გადაჭრის, კრიტიკული ამოცანის დასახვის, წინამძღოლობის უნარების გამომუშავების გზით;
- დ) უზრუნველყოს მოზარდთა, სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, ორგანიზაციებისთვის კორპორაციული მართვის, სამთავრობო სტრუქტურების მომზადების, სახელმწიფო ადმინისტრირებისა და მართვის სტრატეგიულ მიმართულებების პროგრამების ფუნქციონირება;

მუხლი 3. სკოლის სტრუქტურა

სკოლას მართავს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს მისი ხელმძღვანელი, რომელიც თანამდებობაზე ინიშნება უნივერსიტეტის რექტორის მიერ.

მუხლი 4. სკოლის ხელმძღვანელი

1. სკოლის ხელმძღვანელი მართავს და განსაზღვრავს სკოლის მუშაობის კონცეპტუალურ საკითხებსა და ძირითად მიმართულებებს.

2. სკოლის ხელმძღვანელი:

ა) უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რაც ფორმდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით.

ბ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით იყენებს მოზიდულ სახსრებს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, სასწავლო პროცესის სრულყოფისა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური წახალისებისთვის.

გ) განსაზღვრავს სკოლის პერსონალის უფლება-მოვალეობებს, რაც კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება ამ პერსონალის შრომით ხელშეკრულებებში.

დ) აკეთებს წარდგინებას რექტორის წინაშე სკოლის მიერ შედგენილი საგანმანათლებლო პროგრამების უნივერსიტეტში დადგენილი წესით დამტკიცების, ასევე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე - სკოლის მიერ განსახორციელებელი შესაბამისი პროგრამების სწავლის საფასურის ოდენობას დამტკიცებასთან დაკავშირებით.

3. სკოლის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე.

მუხლი 5. სკოლის დაფინანსება

სკოლის დაფინანსების წყაროები შესაძლებელია იყოს:

- ა) სკოლის მიერ მოპოვებული საპროექტო, საგრანტო, საკონკურსო და სხვა დაფინანსება;
- ბ) სახელშეკრულებო საფუძველზე შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული მიზნობრივი სახსრები;
- გ) მიზნობრივი შემოწირულობები;
- დ) კანონმდებლობით აუკრძალავი სხვა დაფინანსება.

მუხლი 6. სკოლის ქონება

თავისი მიზნების განხორციელებისათვის სკოლა სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავ-მოძრავი ქონებით.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. სკოლის გარდაქმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სკოლის გარდაქმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.